სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N-8

ლ.ჩოხატაური *7აგვისტო 2015 წელი*

<u>თავმჯდომარეობდა:</u> დავით გუდავაძე

ესწრებოდნენ: გოჩა სეხნიაშვილი, ლაშა თოლორდავა, ოთარ სოროზანიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, გოდერძი გოგიშვილი, დავით ვაჩეიშვილი, დიმიტრი კორიფაძე, თემურ ხუხუნაიშვილი,მანანა მინდაძე,კლოდი მდინარაძე.

მოწვეული:

გამგეობის საფინანსოს და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი-გელა ლომინეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკენომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი -გია გიორგაძე.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოპილების უფროსი-ბექა შენგელია.

ა.(ა).ი.პ იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის „სხივის“დირექტორი - მერაბ დოლიძე;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

4. ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კ.მდინარაძემ, დ.ვაჩეიშვილმა, კ.კალანდაძემ რომლებიც დაეთანხმნენ წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: **გია გიორგაძე**

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

4. ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ დოლიძე

I საკითხი: .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>**მოისმინეს :**</u>

1. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ლომინეიშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ.ვაჩეიშვილმა, გ.თოდრიამ, გ. გოგიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 12

წინააღმდეგი – 1დ.კორიფაძე

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N120 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე და განკარგულების პროექტი და გადაეცა საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ლ.თოლორდავამ, ა.შარაშიძემ, თ.ხუხუნაიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება</u>:

ცნობათ იქნა მიღებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, განკარგულების პროექტი და გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

აზრი გამოთქვეს: მ.მინდაძემ, გ. სეხნიაშვილმა, დ.ვაჩეიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –13

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება:

ცნობათ იქნა მიღებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

IV საკითხი:

ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

4. ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ დოლიძე

აზრი გამოთქვეს: გ. გოგიშვილმა, ო.სოროზანიშვილმა,კ. კალანდაძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –12

წინააღმდეგი – 1დ.კორიფაძე

(კენჭისყრას ესწრებოდა 13 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება:</u>

ანგარიში აიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურება „სხივის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და აიპ-ის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის უზრუნველ საყოფად განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ***დავით გუდავაძე***

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი“-ს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ
(2015 წლის 7 თვის ანგარიში)

სამსახური დაფუძნებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2007 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დასუფთავების ღონისძიებების გატარება, გარე განათების მოვლა-შენახვა ექსპლუატაცია და გამწვანება.

კომუნალური სამსახური „სხივი“-ს 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელებია **285.0** ათ. ლარი რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებებისა, გამწვანების და გარე განათების მოვლა-შენახვა ექსპუატაციისათვის, სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 59 კაცს, (მათ შორის საშტატო 48, არასაშტატო 11).

ორგანიზაციის სარგებლობაში იმყოფება 7 ერთეული ტექნიკა

მ.შ

2 ერთეული ნაგავმზიდი, 1 ერთეული ასილიზაციის მანქანა, 1 ერთეული თვითმცლელი გაზ 53, 1 ერთეული თვითმცლელი ზილ 130, 1 ერთეული ტრაქტორი ბელარუსი, 1 ერთეული ამწე კალათა

აღნიშნული ტექნიკა არის ამორტიზებული და მოითხოვს ხშირ შეკეთებას, აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს არსებული პარკის განახლება.

2015 წლის 7 თვეში სამსახურის მიერ გახარჯულია სულ **205762** ლარი მ.შ

ა) შრომის ანაზღაურება **91131** ლარი

ბ) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება **24080** ლარი

გ) ოფისის ხარჯები **64057** ლარი

დ) უნიფორმა **600** ლარი

ე) ტრანსპორტის მოვლა შენახვა ექსპლუატაცია **20752** ლარი

ვ) სხვა ხარჯები **4132** ლარი

ზ) მივლინება **80** ლარი

თ) არაფინანსური აქტივების ზრდა **930** ლარი

დასუფთავების ღონისძიებები

2015 წლის 7 თვის მანძილზე სამსახურის მიერ აქტიურად ხდებოდა დაბის და მიმდებარე სოფლებში განთავსებული 120 ცალი სანაგვე ურნის გაცლა, ასევე დაბის ცენტრის, სკვერების და მიმდებარე ქუჩების დაგვა-დასუფთავება. ყოველდღიურად 120-ვე სანაგვე ურნის გაცლისათვის საჭიროა საშუალოდ 6 რეისის გატანა, რადგან დღეის მდგომარეობით ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა არ იძლევა ყოველდღიურად 120-ვე სანაგვე ურნის გაცლის საშუალებას ამიტომ გატანა ხდება შერჩევით ყოველდღიურად საშუალოდ 3 რეისის ოდენობით, რაც შეეხება დაბის ცენტრს და დაბის ტერიტორიაზე განთავსებულ სავაჭრო ობიექტებს რომლებთაგანაც გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები და არიან დასუფთავების მოსაკრებლის

გადამხდელები ნაგვის გატანა ხდება ყოველდღიურად (რიგ შემთხვევაში დღეში 2–ჯერ).

ჩვენი შეხედულებით აღნიშნული მომსახურება არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის ნორმალური სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაგავის დღეში 6 რეისის გატანა, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯებისს გაზრდას.

აქვე ავღნიშნავთ, რომ ჩვენ სარგებლობაში არის 2 ნაგავმზიდი, რომლებიც უკვე ამორტიზებულია და მოითხოვენ ხშირ შეკეთებას ამისთვის აუცილებლად საჭიროა დამატებით მინიმუმ 1 ნაგავმზიდის შეძენა, ასევე აუცილებლობას წარმოადგენს სანაგვე ურნების შეცვლა და რაოდენობის გაზრდა 250 ერთეულამდე. (დღეის მდგომარეობით არსებული ურნების გარკვეული ნაწილი უვარგისია ექსპლუატაციისათვის)

სამსახური მ/წ 15 ივლისიდან ემსახურება კ. ბახმაროში დასუფთავების ღონისძიებების გატარებას რისთვისაც სამსახურს დროებით გადმოსცეს ახალი ფორდი მარკის ნაგავმზიდი აქედან გამომდინარე 15 ივლისიდან ყოველდღიურად დაიწყო ნაგავის ჩამოტანა კ. ბახმაროდან ს. ბუკნარში ნაგავსაყრელზე.

გარე განათება

მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიაზე და სოფლებში გარე განათების ქსელის მოვლა–შენახვა, ექსპლუატაცია ხდება ჩვენი სამსახურის მიერ რომელიც 2011-2012-1013-2014 წლებში მთლიანად გაახლდა, გაფართოვდა და დღესდღეობით შეადგენს 2000-მდე გარე განათების ფარს თავისი აღრიცხვის კვანძებით და მართვის კარადებით, აღნიშნული ქსელი მოვლა პატრონობისათვის სამსახურს გააჩნია სპეც. ტექნიკა (ამწე კალათა). ქსელის ნორმალური ფუნქციონირებასა და უსაფრთხოების წესების დასცავად აუცილებელია გარე განათების ქსელის სისტემატიური კონტროლი რაც 2015 წლის 7 თვეში აქტიურად ხდებოდა, პრობლემას წარმოადგენს გარე განათების კუთხით გამოყოფილი ელექტრო საქონელის შესყიდვაზე დამტკიცებული თანხა 8.0 ათ. ლარი რაც არ არის საკმარისი, ასევე აუცილებლობას წარმოადგენს სათადარიგო ელექტრო საქონელი შეძენა და დასაწყობება რათა დროულად მოხდეს გარე განათების ქსელის შეკეთება.

გამწვანება

სამსახურის მიერ ხდება დაბა ჩოხატურში მდებარე სკვერების მოვლა პატრონობა, ტარდება სკვერებში სხვადასხვა სახის სამუშაოები როგორიცაა ყვავილებისა და მწვანე ნარგაობის განახლება, შებარვა, შეწმვლა, გასხვლა-ფორმირება, გაცელვითი სამუშაოები და ა.შ.

ასევე სამსახურის მიერ ხდება გამხმარი, დაზიანებული და სტიქიისაგან მოთხრილი ხე მცენარეების ლიკვიდაცია.

აქვე ავღნიშნავთ რომ სამსახურს აგრეთვე ევალება დაბის ცენტრისა და სკვერების დაცვა ოთხფეხა პირუტყვისაგან რაც არასაკმარისად ხდება, გარკვეული საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო.